საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021

(წინასწარი შედეგები მეცხოველეობის შესახებ)

16.02.2022

www.geostat.ge

16.02.2022

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2021 წელი და 2021 წლის IV კვარტალი
(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 935.2 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემზე 1.0 პროცენტით მეტია. აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 434.4 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.6 პროცენტით ჩამორჩება.

ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა 20.8 პროცენტით შემცირდა და 750.0 ათასი სული შეადგინა.

ღორის რაოდენობა 161.0 ათასი სული იყო, რაც 2.8 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფრინველის რაოდენობამ 9.0 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 10.9 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2016-2021 წლების ბოლოს არსებული მდგომარეობით.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2016-2021 წლების ბოლოსათვის
(ათასი სული)



ცხვრისა და თხის სულადობა 2016-2021 წლების ბოლოსათვის
(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2016-2021 წლების ბოლოსათვის
(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

ფრინველის რაოდენობა 2016-2021 წლების ბოლოსათვის

(ათასი ფრთა)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2022

წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის IV კვარტალში რძის წარმოებამ 99.1 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.0 პროცენტით ნაკლებია. 2021 წლის რძის წარმოების წლიური მაჩვენებელი 577.5 მლნ. ლიტრით განისაზღვრა, რაც 1.5 პროცენტით აღემატება 2020 წლის შედეგს.

2021 წლის IV კვარტალში ხორცის წარმოებამ 23.0 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 1.3 პროცენტით ნაკლებია. 2021 წელს ხორცის წლიურმა წარმოებამ 72.1 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 3.9 პროცენტით აღემატება.

2021 წლის IV კვარტალში კვერცხის წარმოება 157.9 მილიონი ცალი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5.7 პროცენტით ნაკლებია. 2021 წელს კვერცხის წლიურმა წარმოებამ 637.7 მილიონი ცალი და 2020 წელთან შედარებით 5.5 პროცენტით ნაკლები შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2016-2021 წლებში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2016-2021 წლებში

(მლნ. ლიტრი)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2022

ხორცის წარმოება 2016-2021 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2016-2021 წლებში
(მლნ. ცალი)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2022

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2020-2021 წლების მაჩვენებლები ქვეყანაში არსებული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტ-იმპორტის, ასევე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2020-2021 წლებში პერიოდის ბოლოსათვის

(ათასი სული)

	2020				2021*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	961.4	1 002.7	965.1	925.8	1 015.9	1 025.0	972.2	935.2
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	447.6	462.4	456.1	450.8	468.5	452.5	441.7	434.4
ღორი	188.8	221.6	254.1	165.7	174.7	192.1	232.9	161.0
ცხვარი და თხა	1 214.3	1 197.1	1 033.0	946.5	1 046.1	984.7	764.6	750.0
ფრინველი (ათასი ფრთა)	10 506.1	13 003.2	11 924.8	10 146.5	11 330.7	11 549.5	10 331.5	9 039.8

*წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2020-2021 წლებში

(ათასი სული)

	2020					2021*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	16.2	2.4	27.1	29.3	75.0	16.1	11.1	20.7	33.4	81.3
ღორი	-	-	-	-	-	-	-	1.21	0.75	1.96
ცხვარი და თხა	8.7	6.8	73.2	105.4	194.0	26.3	52.4	145.4	28.6	252.7
ფრინველი (ათასი ფრთა)	1 722.6	1 634.8	1 355.1	985.5	5 698.0	699.0	1 733.3	1 779.9	1 530.0	5 742.2

*წინასწარი მონაცემები.

16.02.2022

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2020-2021 წლებში

(ათასი სული)

	2020					2021*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.7	0.2	0.2	0.3	1.4	0.2	0.4	0.8	1.0	2.3
ღორი	7.8	11.2	17.4	19.6	56.0	10.2	11.6	17.6	20.9	60.4
ცხვარი და თხა	4.8	-	-	-	4.8	-	-	8.4	0.2	8.7
ფრინველი (ათასი ფრთა)	1 752.2	1 056.1	1 317.7	1 383.3	5 509.3	1 287.5	1 996.0	1 954.1	2 366.9	7 604.4

*წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2020-2021 წლებში

	2020					2021*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
ხორცი (ათასი ტონა)	14.6	16.0	15.5	23.3	69.4	15.8	17.3	16.1	23.0	72.1
რძე (მლნ. ლიტრი)	102.3	196.2	169.4	101.1	569.0	115.3	194.3	168.8	99.1	577.5
კვერცხი (მლნ. ცალი)	167.3	174.3	165.6	167.4	674.5	171.4	159.0	149.4	157.9	637.7

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:

- მოვლენა არ არსებობს.

2021 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2022 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge